

# გურია ევროკავშირისათვის ერთ-ერთი საკილოტი რეგიონი იქნება მომავალი სამი წლის განმავლობაში

**ალიონი.** ეროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელელი, მეუღლე მეტე ჰარცელთან ერთად გასულ შაბათ-კვირას ოზურგეთში იმყოფებოდა. ევროკავშირის ელჩი ვიზიტის პირველ დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ ჩაის პლანტაციის კოოპერატივ „ნაგომარს“ ეწვია.

ოზურგეთში ვიზიტის მეორე დღე სოციალურ საწარმო „რადო“-ში სტუმრობით დაიწყო, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

აღნიშნული საწარმო დაარსებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებისაგან და ამზადებს ბეტონისა და ცემენტის ფილებს. ევროკავშირის ელჩი გაეცნო საწარ-

მო პროცესს და საამქროს დამაარსებელს ცოტნე სავაიას ესაუბრა.

შემდეგი ელჩი „სავაჭრო სახლ პირველს“ ეწვია. აქ პურის საცხობი ტექნოლოგიური ხაზის ახალი დანადგარები შეიძინეს ევროკავშირის დაფინანსებით. „სავაჭრო სახლ პირველის“ დამფუძნებელმა ირაკლი სირაძემ კარლ ჰარცელს პურის ცხობის ახალ ტექნოლოგიაზე ესაუბრა და სავაჭრო ობიექტი დაათვალიერებინა.

ევროკავშირის ელჩი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრს ეწვია და ცენტრის დირექტორს რომან ლომაძეს ესაუბრა, შემდეგ კი შშმ პირების საკონცერტო რეპერტუარს გაეცნო.

ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი სოფელ წითელმაში მეწარმე ლიკა მეგრ-

ელაძის საოჯახო სასტუმრო „კომლი“ დაათვალიერა.

სასტუმრო „კომლი“ ვიზიტორებს მრავალფეროვან ტურისტულ სერვისს სთავაზობს. აქ წელს ტურიზმის სეზონი 10 მარტს გახსნეს და უცხოელი ტურისტები ჰყავდათ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებიდან. ამაში თავისი წვლილი ევროკავშირის აქვს შეტანილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ალექო მამუშელი ევროპის ელჩს გურიაში ჩაის გავრცელების ისტორიაზე და ნასაკონსულტაციო საკუთრივ წყლების აღდგენის პერსპექტივები გააცნო.

დღის 14 საათისათვის



## ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი    გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება.    № 36 (10329) 22 ოქტომბერი, 2019 წ.    ფასი 60 თეთრი.

### ოზურგეთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

17 ოქტომბერს სოფელ ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში მემორანდუმს ხელი ოზურგეთისა და ზუგდიდის საკრებულოების თავმჯდომარეებმა დავით დარჩიამ და მამუკა წოწყრიამ მოაწერეს. ორი მუნიციპალიტეტის საკრებულოებს შორის მსგავსი სახის ურთიერთობა, თვითმმართველობის ისტორიაში პირველია და მრავალმხრივ თანამშრომლობას მოიცავს. მემორანდუმის ფარგლებში სამომავლოდ დაგეგმილია ერთობლივი პროექტების განხორციელება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების

ამაღლების სტანდარტების შემუშავება, ეფექტიანი მმართველობის ხელშეწყობა, ინოვაციური მეთოდების დანერგვა, - ის ფარგლებში ურთიერთპრაქტიკის გაზიარება და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაციის წევრები, ოზურგეთის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ოზურგეთის სურათების გალერეას, კოლეჯ „ჰორიზონტს“, ფოლკლორის ცენტრს, ეწვივნენ და სახელმწიფო თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს.



### აშენდება თუ არა ლიხაურში მაღალი ძაბვის ელექტროსადგური? ამ თემაზე სახელმწიფო და მოსახლეობის ინტერესები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია



**ალიონი.** 17 ოქტომბერს, 12 სთ-ზე, სოფელ ლიხაურში კომპანია „სლრ ცუნსულტინგის“ წარმომადგენლებთან შეხვედრას 15-მდე ლიხაურელი დაესწრო, არა იმიტომ, რომ არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული, არამედ იმიტომ, რომ თავიანთ სოფელში მაღალი ძაბვის გადამცემი სადგურის მშენებლობის გაგონებაც არ სურთ, რამეთუ იციან, რომ ეს სადგური მრავალმხრივ საფრთხეს შეუქმნის ამ უნიკალურ სოფელს.

— ლიხაური უნიკალური სოფელია, როგორც ტურისტული ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით, აქ ასეთი სადგურის მშენებლობა დაუსაბუთებელია. ამ ბოლო დროს თვალში საცხობი რადიონაირი შეტევა ლიხაურზე. კარგად გვესმის სახელმწიფო ინტერესები, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ ინტერესებზე მაღლა ხალხის ინტერესები უნდა იდგეს, ყველაფრის ასე ზერულად და იდეალურად წარმოედგინა არ შეიძლება, არანაირი უსაფრთხოების ზომები, არანაირი დასაცავი მანქანები და სხვა არც ექსპერტები და სპეციალისტები. ლიხაურელთა უმრავლესობა, გარდა რამდენიმე საჯარო პირისა, წინააღმდეგა

სოფელში ამ სადგურის მშენებლობისა. აშენონ სხვაგან, ხომ შეიძლება, — თქვა მედიასთან საუბარში ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა ირმა გორდელაძემ.

„სლრ ცუნსულტინგის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული, თორემ ამ შეხვედრას ასეთი უარყოფითი ტალღა არ მოჰყვებოდა: — ხალხს უნდა გავაცნოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი ჩვენი ქვეყნისათვის და კერძოდ გურიისთვის. თუ მოს-

ხლეობა წინააღმდეგი იქნება, დამატებით კვლევებს ჩავატარებთ შედეგებს გავაცნობთ და დავარწმუნებთ, რომ სოფელს არანაირი საფრთხე არ შეუქმნება, მით უფრო რომ მოსახლეობიდან დაშორებით აშენდება ეს სადგური, — აღნიშნა ხსენებული კომპანიის საერთაშორისო პროექტების უფროსმა ინჟინერმა ვანო მუმლაძემ.

მოკლედ, ეს იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო და მოსახლეობის ინტერესები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში ავტორის განცხადებით, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**  
რედაქციის  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100

საინფორმაციო სამსახურის  
ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე  
«ალიონით»

# „ექვთიმეობა“ - 2019



ექვთიმეობის“ დღესასწაული 17 ოქტომბერს ტრადიციულად, სოფელ ლიხაურში, კულტურული და მხატვრული ღონისძიებებით აღინიშნა. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში გაიმართა

## კონსტანტინე შარაშენიძემ ღამსას ურეკულ მედლას 70 წლის იუბილე მიულოცა



„თქვენი საქმე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას უკავშირდება, ახალშობილების სათანადო მომსახურება, მოვლა, მათზე მეთვალყურეობა და დაკვირვება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ძნელია, ამ ხნის მანძილზე, ასე თავდაუზოგავად და ასეთი სიყვარულით ემსახურო მსგავსი სირთულის საქმეს. ათათასობით ახალშობილის დაბადების მოწმე და მონაწილე ხართ, თქვენსთან ადამიანი განსაკუთრებული პატივისცემისა და დღეისთვის ღირსია“, - უთხრა მერმა იუბილარს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ კლინიკა „მედალფას“ სამშობიარო განყოფილების თანამშრომელს, დამსახურებულ მედლას, მაყვალა ტულუშს 70 წლის იუბილე მიულოცა. როგორც კლინიკის დირექტორმა, დავით მდინარაძემ აღნიშნა, მაყვალა ტულუში სამშობიარო განყოფილებაში 50 წელია მუშაობს და 30 000-მდე მშობიარობა აქვს მიღებული, არის საკუთარი საქმის პროფესიონალი, პასუხისმგებელი და გამორჩეული პიროვნული თვისებების მქონე თანამშრომელი.

## პროექტი ბინათმშენაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ



კიდევ ერთი ახალი პროექტი, რომელიც თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის ხელმძღვანელმა **ლევან ხინთიბიძემ** წარუდგინა, ოზურგეთში არსებულ ბინათმშენაკუთრეთა ამხანაგობებს და მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების საკითხს ეხება. პროექტის სახელწოდებაა „ქ. ოზურგეთის ბინათმშენაკუთრეთა ამხანაგობებისთვის „სამო-

ქალაქო ბიუჯეტის“ მინიმალური შექმნა, ანუ ზიარი სახლის თვითორგანიზებული ვგუფები საერთო ინტერესებისთვის“.

„პროექტის განხორციელების შემთხვევაში, გამოცხადდება კონკურსი ამხანაგობებისათვის, სადაც, ხელისუფლებასთან ერთად, თანადაფინანსებით შემოვა პოლიტური ორგანიზაცია - სოლიდარობის ფონდი, ხოლო უშუალოდ პროგრამა ოზურგეთში განხორციელდება საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის წარმომადგენლების მეშვეობით.“ - აღნიშნა ლევან ხინთიბიძემ. საკრეულოსა და მერიის წარმომადგენლების განცხადებით კი, მისაღებელია მსგავსი ტიპის თანამშრომლობა, რომელიც როგორც არამთავრობო სექტორის, ასევე მოქალაქეთა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას უზრუნველყოფს. საკრეულო და მერია შემოთავაზებული პროექტის განხილვას დეტალურად გეგმავენ.

მხატვრულ-ლიტერატურული საღამო. ჩატარდა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების: „გურიას“, „ზენაარის“, „მომავალის“, „ვახტანგურის“, „შემოქმედის“, „რეხეულის“, „ალილიუას“, „გამას“ კონცერტი.

წარმოდგენილი იყო პერფორმანსი „წერილი“ - ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

ღონისძიებას მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდა დელეგაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან, სადაც მუნიცი-

პალიტეტების საკრებულოებს შორის ხელი მოეწერა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ ექვთიმე ღვთისცაცის ფასდაუდებელ დავაზე ისაუბრა და მისი ხსოვნის უკვდავყოფისთვის გაწეული შრომისთვის ღონისძიების ყველა მონაწილე სპეციალური სიგელებით და საჩუქრებით დააჯილდოვა.

ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის - კულტურის განყოფილების ორგანიზებით მოეწყო.

## ნატანების, შრომისა და ურეკის ამორჩევლება თავიანთი გაშორებარების ანგარიშები მოისმინეს

საკრებულოს წევრების მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენა აქტიურად მიმდინარეობს. ავტორად, ნატანების, შრომისა და დაბა ურეკის ამომრჩევლებმა მოისმინეს მაჟორიტარი დეპუტატების ანგარიშები და მათთან ერთად ადგილობრივი მნიშვნელობის სხვადასხვა საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუელიძე უძღვებოდა. ნატანების მაჟორიტარმა **თამაზ ტულუშმა** მოქალაქეებთან შეხვედრებისა და მიღების დროს გამოკვეთილ საკითხებზე, მათი გადაჭრის გზებსა და უკვე განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. მოქალაქეების მიერ დასმული საკითხები ძირითადად ინფრასტრუქტურულ და სოციალურ თემატიკას ეხებოდა. მნიშვნელოვან მიღწევად მაჟორიტარმა ზემო ნატანების 750 ოჯახისათვის სასმელი წყლით მომარაგების შესახებ პროექტის შემუშავება დაასახელა, რომელსაც ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა. ასევე რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე გამამხვილა ყურადღება. შრომის მაჟორიტარმა **დავით**

**ჭაჭელიძემ** კი სოფლის გზაინფიცირების პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისივე თქმით, უკვე დასრულებულია საპროექტო სამუშაოები. შრომაში აღნიშნული პროექტის განხორციელებით, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული საკითხი გადაიჭრა. სოფელში დაიგო 1500 გრძივი მეტრი ბეტონის საფარი, ეკალდის უბანში დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობა. კიდევ ერთი საჯარო სკოლის მშენებლობაზე, რომელზედაც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 7 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო. დაბა ურეკის მაჟორიტარმა **გიორგი მდინარაძემ** ამომრჩევლებთან ისაუბრა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა ე.წ. უსკაკალენკის გზის საპროექტო სამუშაოები. დაბა ურეკის მიმდინარეობს მასშტაბური პროექტი, რომელიც ბუღვარის მოწყობას და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მოიცავს. საკრებულოს მაჟორიტარმა წევრებმა ამომრჩევლების შეკითხვებსაც უპასუხეს და იმ სამართლებრივი აქტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს, რომელთა განხილვა-დამტკიცებაშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ.



## შრომაში რკინა-ბეტონის გზები იგება

შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამ საგზაო მონაკვეთზე რკინა-ბეტონის გზები იგება. სამუშაოებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია აფინანსებს. შრომაში მერის წარმომადგენლის, **კონსტანტინე ხომერიკის** მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დასრულების ეტაპზეა ხრიალეთის 120

და ორმეთის 100-მეტრიანი მონაკვეთების გზების მშენებლობა, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობს. შრომაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 15, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 9 საგზაო მონაკვეთი მოეწყო.

# გურია ევროკავშირისათვის ერთ-ერთი საკილოტი რეგიონი იქნება მომავალი სამი წლის განმავლობაში



კარლ ჰარცელმა ოფიციალურად გახსნა ევროპის დღე და საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესსა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრა „ჭადრების ბაღში“ შეკრებილ ასეულობით ოზურგეთელს. მიმართა:

– გურია იქნება ერთ-ერთი საკილოტი რეგიონი ევროკავშირისთვის მომავალი სამი წლის განმავლობაში, – აღნიშნა ელჩმა.

ელჩის თქმით, ის მეორედ იმყოფება უკვე გურიაში, სადაც საინტერესო დისკუსია შედგა.

„პირველი შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან გვექონდა მაშინ, როცა პირველად ვიყავი გურიაში. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გამეგო რეგიონული განვითარების შესახებ, რა ხდება რეგიონში. გავიგე პრობლემებსა და შესაძლებლობებზე, რომელიც აქ არის. გურია იქნება ერთ-ერთი საფოკუსე, საკილოტი ევროკავშირისთვის მომავალი სამი წლის განმავლობაში. ჩვენ კიდევ უფრო მეტად ვიქნებით ჩართული აქ პროექტების განხორციელებაში. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ

რეგიონის განვითარების სტრატეგია შემუშავებული იყო ბიზნესთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად. ასევე, მნიშვნელოვანია მათი როლი მონიტორინგისა და რჩევების კუთხით. განხილული იყო ტურიზმის სტრატეგია.

– არსებობს პრობლემები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. ვისაუბრეთ განათლებაზე, დეცენტრალიზაციაზე. ჩვენ აუცილებლად ვითანამშრომლებთ მთავრობასთან ამ მიმართულებითაც“, – განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა.

## ევროკავშირის დახმარებით სოფელ ნაგომარში ჩაის წარმოება დაიწყო



ექვემდებარება. რომ არა ევროკავშირის თანადგომა, ჩვენ ვერ შევძლებდით ჩაის გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარების შექმნას. მათ ჩვენ 40 ათასი ევრო გადმოგვცეს ტექნიკის შესაძენად და ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის. პირველად 10 ჰექტარი ჩაის ფართობის რეაბილიტაცია მოხდა. ჰექტარზე საშუალოდ 4 ტონა ნედლეული უნდა მივიღოთ, მაგრამ მოსავლიანობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს გვალვა, სხვა ფაქტორები, მაგრამ ეს მცენარე მშვიდ არ დაგტოვებს. წელს ჩვენთან ჩაის ფოთოლს კრეფდნენ 77-80 წლის ქალბატონები. მათი საშუალო დღიური გამომუშავება 50 ლარი იყო. სულ დავასაქმეთ 74 ადამიანი. 16 ტონა ნედლეული გადავამუშავეთ და 4 ტონა მზა პროდუქცია მივიღეთ.

– რა სახის პროდუქციას უშვებთ და როგორია მისი გაყიდვები?

– აქ ვამზადებთ შავ, მწვანე ჩაის. ასევე ვამზადებთ ჩაის მოცვის ფოთლიდანაც. ამჟამად ჩვენი პროდუქცია ძირითადად ქ. თბილისში, „გულდელი“ ქსელში იყიდება. ჩვენი ჩაით აშშ-ში და მაკედონიაში მიწოდებით არიან დაინტერესებული. ვფიქრობთ მომავალში უფრო დიდი სწარმო გავხსნათ.

**ლელა სიხარულიძე:** – კოოპერატივის წევრი ვარ. 0,8 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მაქვს. 2,7 ლარს მიხდინა ჩემს პლანტაციაში მოკრეფილ ჩაის ფოთოლში, ხოლო საიჯარო ფართობზე – 2 ლარს.

0,6-0,3 ჰექტარი ჩაის პლანტაციებით არიან კოოპერატივის წევრები ნანა ნაჭყვია, ნატო ბირბიჩაძე, ლია

ხელაძე. მათი თქმით ევროკავშირის დახმარებამ მათ საშუალო ადგილი და შემოსავლის წყარო გაუჩინა.

კოოპერატივ „ნაგომარის“ ჩაის გადამამუშავებელი საწარმო ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა დაათვალიერა. იგი ესაუბრა კოოპერატივის დამფუძნებლებს, სპეციალისტებს, მეჩაიეებს. შემდეგ კი გურიის გუბერნატორ ზურაბ ნასარაიასთან ერთად ჩაის პლანტაციები დაათვალიერა.

– დაგეგმილი გვაქვს რომ შევქმნათ სანერგე მუხრნობა სადაც მოხდება ახალი ჩაის ნერგების გამოყვანა და დარიგება მოსახლეობისთვის იმისათვის რომ ის ფართობები რომელიც დღეს არის აუთვისებელი, ბოლომდე იქნეს ათვისებული და ჩაის რეაბილიტაცია და ჩაის ფართობების მოწყობა წარმატებით განხორციელდეს.

დღეს ვიმყოფებით ამ პროექტის

ფარგლებში, სადაც ხდება ჩაის ბუნების რეაბილიტაცია და ფართობების აღდგენა როგორც ეს იყო წლების მანძილზე. ვფიქრობთ რომ ჩაი ის პროდუქტია, რომელიც გურიის რეგიონისთვის და მხარის ეკონომიკისათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. მხარდაჭერა რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს ადგილობრივი მეწარმეებისთვის, ერთიორად ზრდის პროდუქტიანობას, ზრდის ასევე მათ ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც ხელს უწყობს მომავალში უფრო მეტი ფერმერი ჩაერთოს კოოპერატივებში და უფრო მეტმა ფერმერმა მიიღოს მონაწილეობა ერთის მხრივ ჩაის დარგის რეაბილიტაციაში და მეორე მხრივ ახალი საშუალო ადგილების შექმნასა და მხარის ეკონომიკის განვითარებაში“ – განაცხადა ჟურნალისტებთან ზურაბ ნასარაიამ.



## პროექტ „ღია უმკვდრების“ ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან უმკვდრები გაიგარდა

საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ამჯერად, მოსახლეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - მთისპირში, ასკანაში, ძიმითსა და ნაგომარში შეხვედნენ.

ადგილობრივებისგან სოფლებში არსებულ პრობლემებსა და საჭიროებებზე ინფორმაცია, პარლამენტის წევრებმა ვია ვოლსკიმ, ვია გაჩეჩილაძემ, თემურ ჭკუასელმა, გურიის მხარის რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს.

მოსახლეობამ პრიორიტეტულ საკითხად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და შიდა გზების მოწესრიგება დაასახელა. სოფელი მთისპირ-



ის მოსახლეობამ მაღალთმანი დასახლების სტატუსის მინიჭება მოითხოვა. სოფელ ნაგომარში კი საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დასახელდა.

როგორც შეხვედრებზე აღინიშნა,

დასახლებული პრობლემების მოგვარებისთვის მაქსიმალურად მოხდება აღნიშნული საკითხების მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინება.

## გურიის ეროვნული პარკი შეიქმნება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით, გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ეროვნული პარკი შეიქმნება.

ამ მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ვალერიან მჭედლიძე, მოადგილე თომა დეკანოიძე, გურიის მხარის რწმუნებულს ზურაბ ნასარაიას, ჩოხატაურის მერ ირაკლი კუჭავას და საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძეს შეხვედნენ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები ვია ვოლსკი, ვია გაჩეჩილაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

საშუალო შეხვედრაზე ეროვნული პარკის შექმნის მიზნებზე ისაუბრეს. უახლოეს მომავალში დაიწყება წინა



საპროექტო კვლევები და მოხდება იმ ტერიტორიების იდენტიფიცირება, სადაც შემდგომ ეროვნული პარკი შეიქმნება. წინასწარი ინფორმაციით, შესწავლის პროცესი 2021 წლამდე დამთავრდება.

გურიის ეროვნული პარკის შექმნის პროცესი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მხარდაჭერით მიმდინარეობს.

# მუიერი კაღლები თავს გვესხმიან და იკბინებიან

## ხელისუფლებასა და ცხოველების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს: რა ვქნათ, მოავარებით ამ პრობლემას თუ გავიხიზნოთ ქალაქიდან?



გაივსო ოზურგეთი მაწანწალა ადამიანებისა და დადაჭარბებს. იშვი- ძაღლებით! თუ ასე გაგრძელდა, ათია დღე, საავადმყოფოში ძაღლ- მალე, ალბათ, მათი რაოდენობა ისგან დაკბენილი ადგილობრივი

მოქალაქე თუ სტუმარი არ მიე- ვანონ.

– გასულ კვირაში ჰსპ-დან გამოძავალ მოხუცს თითქმის გაძვალტყავებული ძაღლი ხელში წვდა და მედიკამენტებიანი პარკის გემო რომ არ მოეწონა, პატრონზე მიიტანა იერიში. საბოლოოდ პატრონიც დაკბინა და გამშველ- ებელც. ორივე მედალფას კლინი- იკაში გააქანეს.

– აგრარულ ბაზარში შავმა ძაღლმა შავი დღე აყარა ქალბა- ტონს, ჯერ ფეხზე ეცა, შემდეგ მიწაზე დავარდნილი პარკიდან სო- სისი დაითრია და ჭიშკარში ისე გაკარდა, ტყვია ვერ დაეწოდა.

– „ნატალიდან“ გამოსულ ვი- ნმე მშვენიერ ნატალის იქვე ჩასაფ- რებული ფინია წაეპოტინა, პურით სავსე ჩანთის წაღებაში „შეხიდა“ და ეს „შეხიდა“ ქალის თითებზე

სისხლის მანიკურის წასმით დაამ- თავრა.

– ერთმა ზორბა ბომბორამ „არგოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, პირადად მე საეჭვოდ ჩამიარა, ილ- ლიაში ამოჩრილი პოლიეთილენის პარკის წართმევა მომინდოდა, რომ არ დავანებე, მუხლის არეში შარვალის კბილებით ამომვიღო, ახლა რომ კბილამა, თითქმის ისე. მაღლობელი ვარ, სუფთად რომ იმუშავა და ცოფის საწინააღმდეგო ნემსი არ დამჭირდა, როგორც 5-6 წლის წინათ. დემეტმა შეარგოს ცარიელი პარკიც.

– და ბოლოს, გაჩერებაზე, სა- დაც უამრავი ხალხი ირეოდა, ნადირობას მონატრებულმა, სავა- რაულოდ პატრონისგან მიტოვე- ბულმა ძაღლმა ავტობუსის მომ- ლოდინე ბავშვს ფუნთუშა პირიდან გამოგლიჯა, ატყდა წვივლ-კვილი,

წამოაყენეს ბავშვი, რომელსაც საბედნიეროდ, სახეზე ნაკაწრი არ აღმოაჩნდა...

რაც ჩამოვთვალეთ, ყველა რეალური, ოდნავ შელამაზებული ამბებია. თუ ვინმეს არ სჯერა, კა- დრებს თავიდან ვერ დავაბრუნებთ, მაგრამ გამოგვეყვას ქალაქში და ანალოგიური ოთხის კი არა, ორმო- ცი ფაქტის წინაშე დავაყენებთ.

ძალდომილულ ნამდვილად არ ვარ, მაგრამ არ არის ასეთი და ასეთ სიტუაციაში მყოფი ძაღლები ადამიანის მეგობრები. ხელისუფლე- ბასა და ცხოველების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს ვეკითხებით: რა ვქნათ, მოავარებით ამ პრობლემას თუ გავიხიზნოთ ქალაქიდან?

თამურ მარშანიშვილი.

## „ჩვენით შექმნილი მომავალი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სა- კრებულომ, ახალი ინიციატივის „ჩვენით შექმნილი მომავალი“-ს ფარგლებში, კიდევ ერთ ნიჭიერ ახალგაზრდას **გიორგი ლომთათიძეს**, ამჯერად, სოფ. დვბა- ზუში შალვა რადიანის ეთნოგრაფიულ მუზეუმში უმასპინძლა.

გიორგი ლომთათიძე, უკვე ორი წელია თანატოლებში ქართული ხალხ- ური მუსიკისა და საეკლესიო გალო- ბის სიყვარულს ნერვავს.

ახალგაზრდა ნიჭიერ ლოტბარსა და მის თანატოლებს საკრებულოს თავმ- ჯდომარე დავით დარჩია, საკრებულოს წევრი მარიკა ჩხიკვიშვილი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგ- ილე გიორგი კილაძე ესაუბრნენ და მათივე შესრულებით მუსიკალური კომ- პოზიცია მოისმინეს.

„საამაყოა, როდესაც ასეთი ახალ- გაზრდები ეზრდება ჩვენს ქვეყანას, რომელთა ინტერესის სფერო ქვეყნის პატრიოტულ, ტრადიციულ ღირებუ- ლებებზეა დაფუძნებული. საკრებულო ახალი ინიციატივის ფარგლებში, ყოვე-



ლ-თვის მზად არის ხელი შეუწყოს თქვენი საქმიანობის, თვითმეორეობის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. “ - აღნიშნა დავით დარჩიამ.

მუზეუმში შეხვედრას ესწრებოდა და თავის საავტორო გადაცემისთვის სპეციალური სიუჟეტიც მოამზადა, ინი- ციატივა „ჩვენით შექმნილი მომავალი“- ს კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, მემ- ვიდეკლასელმა **ავთო ზომერიკმა**, რომელიც ინტერნეტ-ტელევიზია „TV მეო-

რე“ -ს დამფუძნებელი, დირექტორი, პრ- ოდიუსერი, რეჟისორი, რედაქტორია.

საკრებულოს ინიციატივა „ჩვენით შექმნილი მომავალი“, მოქალაქეობრივი ცნობიერების პროცესში სასკოლო (სამოქალაქო) განათლების ხელშეწყ- ყობი პროექტის „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ნაწილია. მას პარტ- ნირობას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა უწევს.

## ლაითურსა და ნარუჯაში, საკრებულოს გაჟორიტარმა წევრებმა ამომრჩეველებს, გაფუძლი საქმიანობის შესახებ ანბარიშები წარუდგინეს



შეხვედრებს საკრებულოს თავმჯდო- მარე დავით დარჩია უძღვებოდა.

დაბა ლაითურის მაჟორიტარმა გიორ- გი ჩაგანავამ, საკრებულოს მერ მიღებული სამართლებრივი აქტების გარდა, ამო- მრჩეველებს ინფორმაცია ყველა იმ მნიშ- ვნელოვან საკითხსა და პროექტზე მიწაწო-

და, რომელიც თავისი უშუალო ჩართუ- ლობითა და მონაწილეობით განხორციელ- და. საკრებულოს წევრმა, მიმდინარე წელს დაბაში მნიშვნელოვან პროექტად წყალ- სადენის რეაბილიტაციის დასრულება და- ასახელა, რომლის ღირებულებამ თითქმის 5 მილ. ლარი შეადგინა. დაბაში წლის

ბოლოსთვის სრულად აღმოფხვრება 30 წლიან პრობლემა წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. გიორგი ჩაგანავამ, ამო- მრჩეველებთან შეხვედრების და მიღების დროს გამოკვეთილ პრობლემატურ საკითხებზეც ისაუბრა. ხოლო, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავ- მჯდომარემ, საქმიანობის მთავარ პრიორ- იტეტად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე მუშაობა დაასახელა.

დაბა ნარუჯის მაჟორიტარმა, ვალო- დია ბერიძემ კი ანგარიშის წარდგენა, დაბაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნე- ლოვანი განხორციელებული პროექტით- ცენტრალური გზის კაპიტალური რეა- ბილიტაციაზე საუბრით დაიწყო. დაბა ნარუჯაში მიმდინარეობს ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. ვალოდია ბერიძემ ყურადღება კომისიურ და ფრაქ- ციულ მუშაობაზეც გაამახვილა.

შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა. დასახელდა ის პრობლემატურ- ი საკითხებიც, რომელთა გათვალისწი- ნებას ამომრჩეველები მომდევნო წლებ- ისთვის ითხოვენ.

## ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრად მამუკა მამალაძე დანიშნეს

ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშ- ვილი ცეცხლკომ ახალ თანამ- დებობაზე გადაიყვანა.

ცეცხლკომ ზვიად თენიე- შვილის ნაცვლად ოზურგე- თის №60 საოლქო-საარჩ- ევნო კომისიის წევრად მამუ- კა მამალაძემ შე- გააკეთა არჩევანი.

## ოზურგეთში ვებპარანების დღე აღინიშნა



18 ოქტომბერს, ოზურგე- თში, ვეტერანთა საქმეთა სახ- ელმწიფო სამსახურის დირექ- ტორი, გენერალი დავით იშაძე იმყოფებოდა...

ოზურგეთის სპორტის სას- ხლეში გარდაცვლილ ვეტერანთა სახელობის ტურნირი ჩატარდა ტაეკვანდოში, გაიმართა შეჯიბ- რები ჯუდოში, შაშხი, ნარდში. ჯუდოში აფნაშეთის ომის ვეტ- ერანმა ჯემალ კუჭყაძემ გაიმარ- ჯვა.

ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გაიმართა ომის თემ- ატიკაზე ფოტოების გამოფენა, ხოლო შემდეგ სტუმრები, საქ- ართველოს ტერიტორიული მილ- იანობის მებრძოლებთან, ომში და- ლუბულთა მშობლებთან და ახლობლებთან ერთად ჯემალ კუჭყაძის სპექტაკლს „იყვნენ ასეთი ბიჭები“ დაესწრნენ (ვახ- ტან ჩხარტიშვილის დადგმა).

სპექტაკლში ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწ- ავლები მონაწილეობდნენ და მყურებელთა ოჯახებიც დაიმსახ- ურეს. სპექტაკლის შემდეგ დარ- ბაზში მყოფ საზოგადოებას

სიტყვებით მიმართეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ, ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა დავით იშაძემ, ბადრი მანარაძემ.

შზია ანდლულაძე, სიველ ნავომარი: — ემოციებს ვერ ვმაღაფ- მძათა ომში დიდი უბედურება მოუტანა საქართველოს. ამ ომში ჩვენი თანასოფელი ზურაბ წი- ქორიძე დაიღუპა. იგი გმირი იყო, მან ღირსეულად მოიხადა მხე- დრული ვალი სამშობლოს წინაშე. მაგლობა ამ სპექტაკლის შექმნელებს და მონაწილე ბა- ვშვებს.

ლომეული ტრაპაძე, ვეტერ- ანთა საქმეთა სახელმწიფო სამ- სახურის გურიის სამმართველოს წარმომადგენელი ჩოხატაური: — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი 180 და მეორე მსოფლიო ომის 3 ვეტ- ერანია ჩოხატაურში. ძალიან მოხარული ვარ დღევანდელი შეხვედრით. ფოლკლორის ცენტრში საუცხოო სპექტაკლი ვნახეთ. ძმთა ომი მომავალში არ უნდა განმეორდეს.

# მეტი ძალი პოლიტიკაში



**სწორად საუბრობენ გენდერულ თანასწორობაზე და პოლიტიკაში ძალთა მონაწილეობის აუცილებლობაზე. ჩვენ ამ თემაზე სასაუბროდ დაგვუკავშირდით იზნისტს, საჯარო მმართველობის დოქტორს თამთა მებრძოლიშვილს**

**– რა არის გენდერული თანასწორობა?**

– პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ გენდერული საკითხები პოპულარული თემაა, თუმცა საუბარი „გენდერზე“ და „გენდერულ თანასწორობაზე“ უარყოფით რეაქციებსა და ემოციებს იწვევს, რადგან ამ თემებზე საუბარი და აღნიშნული თემების გაშუქება არა გენდერ-თმგრობობაზე ხდება, რასაც სამწუხაროდ (შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების არქონა იწვევს.)

გენდერული თანასწორობა ნიშნავს თანაბარ პირობებს, ცხოვრე-

ბისეულ შანსებს თანაბრად გამოიყენონ ქალებსაც და მამაკაცებსაც საკუთარი პოტენციალი და მოხდეს მათი ინტერესების ყველა დონეზე, მათ შორის პოლიტიკაშიც თანაბრად გათვალისწინება.

**– მთლიანად განვსაზღვროთ პოლიტიკის არის?**

– პოლიტიკა ესაა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ხელსაწყო. გენდერის ინსტიტუტი კი ქმნის სიტუაციურ ლიდერებს და თუ ვინ იქნება ლიდერი დამოკიდებულია არა სქესზე, არამედ მის უნარ-ჩვევებზე!

– და მაინც მოდით ვისაუბროთ „სუსტი“ სქესის წარმომადგენლებზე, ქალებზე...

**– უნდა დავანეროთ დამკვიდრებული სტერეოტიპი „სუსტი“ და „ძლიერი“ სქესის ირგვლივ.**

ქალი აღარ არის „სუსტი“ სქესის წარმომადგენელი. დააკვირდით გლობალიზაციის პროცესმა და მსოფლიოში მიმდინარე გამოწვევებმა წინ წამოწია ქალის როლი თანამედროვე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებში და საჭიროებიდან გამომდინარე მისი აღიარება საკანონმდებლო დონეზეც მოხდა. საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემა, საზოგადოების მიდგომა ეტაპობრივად გადადის ცივილურ რელსებზე, რაზეც მეტწილად ქალთა სიმრავლე, როგორც წამყვანი, ასევე ქვედა რეოლის პოზიციებზე.

**– არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ პოლიტიკა კაცის საქმეა?**

– არა. ამბობდნენ რომ „პოლიტიკა“ თამაშია, თამაში წესების გარეშე, რომ იქ, მხოლოდ ძლიერები გადარჩებიან. მხოლოდ ამას ვეთანხმები, თუმცა მთავარია სწორად გავიაზროთ თუ რა სახის სიძლიერეა აქ საუბარი.

პოლიტიკას სჭირდება გონებრივად ძლიერი ადამიანები შესაბამისი უნარ-ჩვევებით.

პოლიტიკა არ არის დამოკიდებული სქესზე, ანუ გამოდის რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ამ სივრცეში დამოკიდებულია (უნდა იყოს) მხოლოდ და მხოლოდ მის

გონებრივ შესაძლებლობებსა და საჭირო უნარ-ჩვევებზე.

თვალს თუ გადავაგვლებთ ვნახავთ რომ ქალ მმართველებს მსოფლიო ისტორიაში, მსოფლიო პოლიტიკური რუკის ცვლილებაში მამაკაცებზე ნაკლები წვლილი არ მიუძღვით. უამრავ მმართველ ქალს შორის რომლებმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ისტორიის ფორმირებაში, გვხვდებიან: თამარ „მეფე“ ერთადერთი ქალი რომელსაც ეს ტიტული აქვს, ეგვიპტის უკანასკნელი მმართველი კლეოპატრა, ინგლისის დედოფალი ვიქტორია და სხვები.

**– მაინც რა არის ის მთავარი, რასაც პოლიტიკოსი ქალისაგან ელის საზოგადოება?**

ამჯერად მცირე ჩამონათვალით შეგივითარებ:

პირველი – ესაა პოლიტიკაში განსაკუთრებული ქალური სტილი, რომელსაც ადამიანებისა და სოციალური საკითხების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება ახასიათებს.

მეორე – ქალები მშვიდობისმოყვარეობით გამოირჩევიან, არ არიან მიდრეკილნი ძალის გამოყენებით ომებითა და კონფლიქტებით გადაჭრან პრობლემები, ისინი ნაკლებად აგრესიულნი და ავტორიტარულნი არიან, ანუ ქალები პოლიტიკაში-ესაა შანსი მეტი დიალოგისა და თანამშრომლობის, რაც თავისთავად ამცირებს ომის წარმოშობის ალბათობას.

**– და მაინც რატომ ქალი?**

ქალს ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშანთვისებები:

ქალი შრომისმოყვარე, მიზანმიმართული, დახვეწილი, ჰუმანური, გონიერი არსებაა. ქალი ფლობს დიდ სულიერ ძალას, გააჩნია მაღალი ეთიკური ნორმები, განსაკუთრებული უნარი დაამყაროს და განავითაროს კარგი ურთიერთობები ხალხთან. ქალი საუბრობს ლაკონურად, კონკრეტულად, მოქმედებს მიზანმიმართულად სიხისტის გარეშე. ქალი დედა, მეოჯახე და ამასთანავე დიპლომატი მმართველია.

**– თქვენ გსურთ ქალი პოლიტიკაში?**

– მე მსურს მეტი ქალი პოლიტიკაში! იმიტომ რომ მე მსურს გააზრებული პოლიტიკა, რომლის წინაპირობადაც ზემოთაღნიშნული ნიშანთვისებების ერთობლიობა მიმანია.

პოლიტიკას სჭირდება ქალური კულტურა. ინსტიტუციური მდგრადობა, სადაც ქვეყნის სტაბილურობა ნაკლებად იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ არენაზე პირთა წრის ცვლაზე. დროა არსებული პოლიტიკური უკულტურობა, პოლიტიკოსების აგრესიული საუბრის მანერა და ქმედებები ქალების პოლიტიკაში მოსვლის შედეგად უფრო მაღალი ეთიკურ-მორალური მართვის სტილით შეიცვალოს.

ესაუბრა  
**მთიმეან კუპულავა**

## „სოფლის რწმუნებულები“ საჯარო მოხელეები აღარ იქნებიან - რა საფრთხეებს ხელავენ კანონში დაბეჭდილ ცვლილებებში



აღნიშნულს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები გულისხმობს, რომელსაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს.

ცვლილების თანახმად, ე.წ. სოფლის რწმუნებულებისთვის საჯარო მოხელის სტატუსი გაუქმდება და ისინი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე გადავლენ. ეს კი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასებით, მათი სრულად პოლიტიზების და წინასაარჩევნოდ ვიწრო პარტიული მიზნებისთვის გამოყენების რისკებს ზრდის.

„კანონპროექტით შემოთავაზებულია საჯარო სამსახურთან დაკავშირებული რამდენიმე ცვლილება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისთვის (სოფლის რწმუნებულები) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმების ვალდებულების და პროფესიული საჯარო მოხელის კარიერული განვითარების ახალი

პროცედურის – შიდა კონკურსის შემოღება.

პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი, რომლითაც სხვა ცვლილებებთან ერთად იგეგმება ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისთვის (ე.წ. სოფლის რწმუნებულები/გამგებელი) საჯარო მოხელის სტატუსის შეწყვეტა და მათი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე გადაყვანა. მერის წარმომადგენელი, ხშირ შემთხვევაში, სოფელში ერთადერთ საჯარო მოხელეს წარმოადგენს, ამ ცვლილებით, კი იქნება საფრთხე, რომ მოხდეს მათი სრულად პოლიტიზება და წინასაარჩევნოდ ვიწრო პარტიული მიზნებისთვის გამოყენება.

მერის წარმომადგენლებისთვის სტატუსის შეცვლის მცდელობას 2017 წელსაც ჰქონდა ადგილი, ამ პროცესს მაშინ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გამოეხმაურა და გარდა პროცესის უკანონობისა, ასევე ამ თანამდებობის პოლიტიზირების გაზრდილ რისკებს

გაუგავსა ხაზი. ორი წლის წინ ეს პროცესი შეჩერდა და მერის/გამგებლის წარმომადგენლებს ისევ დაუბრუნდათ საჯარო მოხელის სტატუსი. ამჯერად ცვლილება პირდაპირ კანონში იგეგმება და მისი მიღების შემთხვევაში მუნიციპალიტეტებს სხვა არჩევანი არ ექნებათ გარდა იმისა, რომ მერის წარმომადგენლებს პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი შეუცვალონ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულით, რაც ნიშნავს რომ მათ დანიშნვას განახორციელებს მერი ერთპიროვნულად, მათი სამსახურში მიღება მოხდება მერის უფლებამოსილების ვადით, ამასთან, მერს ნებისმიერ დროს შეეძლება რწმუნებულის გათავისუფლება, „აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ინფორმაციაში.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, ორგანიზაციის შეფასებით, მერის წარმომადგენლების პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად უნდა შენარჩუნდეს მათი პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი, რაც ასევე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური მექანიზმების შენარჩუნების და სახელმწიფო სერვისების პოლიტიკურად ნეიტრალურ გარემოში მიწოდების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, პროცესის გამჭვირვალობისთვის და საჯარო სამსახურის სისტემის სტაბილურობისთვის, ორგანიზაციაში აუცილებლად მიაჩნიათ შიდა კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები განისაზღვროს კანონით და მხოლოდ პროცედურის დეტალები დაკონკრეტდეს მთავრობის დადგენილებით.

### იუბილარი



### ვეიცოცაო!

ღვაწლმოსილ ადამიანს, წარმატებულ ჟურნალისტს, ბაზემთ „მანდილის“ რედაქტორს, ათეულწლიანი წინის ავტორს, ქალბატონ მთერ ქაღმეიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ღირსეულ ცხოვრებას, გულმხმარებელით გამორჩეულს სიცოცხლის ბოლომდე ჰქონებოდეს სიმართლის რწმენა, სიკეთის, სიყვარულის ბრძოლა.

კითხილი სურვილებით,

ნოდარ ღონაძე

## მისივე იამის სახელობის სამართაშორისო ტურნირზე

ტურნირში საქართველოს რეგიონების ნაკრები გუნდები, ასევე, აზერბაიჯანი და სიმხეთი მონაწილეობდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების მძლეოსანთა ნაკრები გუნდი 10 სპორტსმენით ასპარეზობდა.

შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**ანანო ცინცაძე II** საპრიზო ადგილი 1200 მ რენგში

**დავით ტულუში III** საპრიზო ადგილი შუბის ტყორცნა

წარმატებით იასპარეზეს, მაგრამ საპრიზო ადგილის მიღმა დარჩნენ - მერაბ მახარაძე, მიშო მახარაძე, ლამა ტულუში, ნიკა თორდია, თამაზ მიქელაძე, ვია ვანაძე, ქეთი მამალაძე და თამუნა მახარაძე.



გუნდი შეჯიბრებისთვის **მარინე კოტრიკაძე** მოამზადა

სარიზო ადგილზე გასული სპორტსმენები ახალციხის მერიამ მედლებით, სიგელებით და ფულადი პრემიით დააჯილდოვა.





# ღვინის ტური – „ჩხავერის ისტორია“ სოფელ მთისპირში

## „ოქროსქედის ვენახების“ მთავარი პრიზის მფლობელი ზაზა გურული გახდა

**ალიონი.** 2017 წლის 13 აგვისტოს, ვაზის ზეიმი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში გაიმართა, რომლის ინიციატორი ირაკლი ჩაველიშვილი იყო.

ამ სოფელთან ჩემი ფესვები მაკავშირებს. ჩემი დიდი ბაბუა ცნობილი ლოტბარი საშუალო ჩაველიშვილი იყო. ჩემს ბებია-ბაბუს გულიკა და კოტე ვამლომიძეების ოჯახს ვინ არ იცნობდა მთისპირში. ეს სოფელი „ჩხავერის“ ღვინით იყო ცნობილი. ამიტომ გადავწყვიტე ბებიის მიერ ჩემთვის დანატოვარ ფართობზე „ჩხავერის“ ნერგები გამეშენებინა. ასკენელმა ზურაბ ჯავახიძემ (ნერგები კომპანია „კახური ტრადიციული მუერნეობა“ შემოიტანა გურიაში) 300 ძირი „ჩხავერის“ ნერგი გადმომცა. ამით დავიწყე. სავარაუდოდ ჩემს ზვარში 3000 ძირი „ჩხავერი“ დაირგვება. ამის შემდეგ ღვინის ტრადიციული წესით დაყენებაზე ვიფიქრე. დღეს სოფელ მთისპირს მგალობელ-მომღერალთა გუნდი „ადილი“ ესტუმრა და საშუალო ჩაველიშვილის ხსოვნის პატივსაცემად სოფ. მთისპირის კულტურის სახლში გამართეს კონცერტი „შენ ხარ ვენახი.“ (ALION.GE, 13.08. 2017წ.)

2019 წლის 19 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განყოფილების ინიციატივით ღვინის ტური - სახელწოდებით „ჩხავერის ისტორია“ მოეწყო.

იმერეთისა და აჭარის სხვადასხვა ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები და გიდები უძველესი გურული ვაზის ჩხავერის ისტორიას გაეცნენ. ინფოტურის მონაწილეებმა სოფელ მთისპირში „ოქროსქედის ვენახებში“ ჩხავერის პლანტაციები დაათვალიერეს და ყურძნის კრეფის პროცესშიც მიიღეს მონაწილეობა.

ღვინის გზაზე სტუმრებს საოჯახო სასტუმრომ **IN-GA'S GARDEN** - „ნიკო მასხალიძის“ უმსახიბლად, სადაც მამა-პაპისეული მარანი მონახულეს და სამეურნეო პროცესს გაეცნენ. ტურის მონაწილეებმა ასევე და-

თვალიერეს სოფელ შემოქმედში მეწარმე ანდრო ვამლომიძის სადემონსტრაციო ნაკვეთი და ილია ჩხატარაშვილის ახალაშენებული მარანი.

იმავდროულად გაიმართა ველოტური ქ. ოზურგეთიდან (რკინიგზის სადგურის მოედანი) მთისპირის ცენტრამდე, რომელშიც 50 მოყვარული ველოსიპედისტი მონაწილეობდა. ველომარათონში ოზურგეთის იუსტიციის სახლის თანამშრომელმა ზაზა გურულმა გაიმარჯვა. გამარჯვებულს ავტომანქანა „toyota vitz“ გადაეცა.

მეორე ადგილზე გასულ გიორგი მჟავიას სანადირო თოფი, ზოლო მესამე ადგილზე თამაზ ფიცხალიშვილი (მთისპირი) ველოსიპედი გადაეცათ.

სპეციალური პრიზი დაიმსახურა მოჭადრაკემ და ჩოგბურთის მწვრთნელმა გივი სიამაშვილმა.

მართალია არ გაუმარჯვიათ, მაგრამ რთული ველორობლაში ბოლომდე იბრძოლეს ვეტერანებმა, ოზურგეთის საკრებულოს ყოფილმა დეპუტატმა, 67 წლის თემურ ბურჭულაძემ და ოზურგეთის თეატრის თანამშრომელმა, 64 წლის ავთანდილ კალანდარიშვილმა.

სოფელ მთისპირის ცენტრში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო, ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ინდ. მეწარმეების ზურაბ ასათიანის და ომარ მახარაძის ქართული შავი ბაიხის ჩაის ნაწარმი.

ღვინის მწიბის დასრულების შემდეგ „ოქროსქედის“ ვენახების ერთ-ერთ დამფუძნებელს ზურაბ ჩხარტიშვილს ვთხოვეთ: –რაც გავკეთეთ, ეს ჩვენი კომპანიის მეგობრების დახმარებით გაკეთდა. ერთმა მანქანა დაიმო, მეორემ სანადირო თოფი, მესამემ –ველოსიპედი და ა.შ. თავად ღვინის მწიბის ორგანიზებაში ჩვენი მეგობარი ლაშა ნოზაძე დაგვეხმარა. ჩვენი პიარ-კამპანია გურიაში „ჩხავერის“ პოპულარიზაციას ეძღვნება. იმედია მალე გამოვა ბაზარზე ჩვენ ვენახებში დაწურული ღვინო ეტიკეტით – „ოქროსქედის ვენახები.“



### 7 დღის ამინდის პროგნოზი

**მზი, ღრუბლი**  
+10+20  
22 თებერვალი  
სამშაბათი

**მზი, ღრუბლი**  
+10+20  
23 თებერვალი  
ოთხშაბათი

**მზი, ღრუბლი**  
+10+20  
24 თებერვალი  
ხუთშაბათი

**მზი, ღრუბლი**  
+10+21  
25 თებერვალი  
პარასკევი

**მზი, ღრუბლი**  
+10+20  
26 თებერვალი  
შაბათი

**წვიმა**  
+7+20  
27 თებერვალი  
კვირა

**წვიმა**  
+8+19  
28 თებერვალი  
ორშაბათი